



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### „ზაჰესი“



„ზაჰესი“ (სააქციო საზოგადოება), ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, პირველი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში, მდ. მტკვარზე, მცხეთასთან, მტკვრისა და არაგვის შესართავის

მახლობლად. „ზ.“ დერივაციული ტიპისაა. მდ. მტკვარზე ჰესის მშენებლობის პროექტები არსებობდა 1904-05 და XX ს. 20-იან წლებში. 1922 წ. 23 მაისს, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილ. საბჭომ მიიღო დადგენილება ზაჰესის მშენებლობის დაწყების შესახებ; 1923 წ. 16 იანვარს სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით საკავშ. სახსრებიდან თბილ. საბჭოს ამ მიზნით გამოეყო გრძელვადიანი სესხი – 750 ათ. ოქროს მანეთი. ზაჰესის პირველი ესკიზური პროექტი ეკუთვნის ინჟ. ი. მელიქ-ფაშაევს. მშენებლობა დაიწყო 1922 წ. 10 სექტემბერს, რ-საც ხელმძღვანელობდა ბ. ა. ჭიჭინაძე. ჰესის პირველი რიგი (12,8 მეგვტ ჯამური სიმძლავრის 4 აგრეგატი) საექსპლუატაციოდ გადაეცა 1927 წ. 26 ივნისს. მეორე რიგის სამშ. სამუშაოები 1930 დაიწყო და დამთავრდა 1938. გაშვებულ იქნა კიდევ ორი აგრეგატი – თითოეული 12 მეგვტ სიმძლავრისა. ჰესის ჯამურმა სიმძლავრემ მიაღწია 36,8 მეგვტ, სამ. წლიურმა გამომუშავებამ კი – 203 მლნ. კვტ.სთ. მაქს. დაწნევამ შეადგინა 24,1 მ, მინიმალურმა – 18,6 მ. „ზ.“ მეორე დიდი ჰიდროელექტროსადგური იყო საბჭ. კავშირში (ვოლხოვის ჰესის შემდეგ). „ზ-ის“ აგებით საფუძველი ჩაეყარა საქართვ. სახ. მეურნეობის ელექტრიფიკაციას. იგი აშენებულია მაღალ საინჟ.-ტექ. დონეზე, მისი დაპროექტებისა და მშენებლობისას განხორციელებულია რამდენიმე ორიგინ. გადაწყვეტა: ძალური კვანძის ნაგებობათა რაციონალური განლაგება; სადანნეო აუზის ორიგინ. კონსტრუქცია, რ-იც სამანქანო შენობასთან ერთად ქმნის არქიტ. ანსამბლს (ელსადგურის არქიტ. ნაწილის ავტორები: ა. კალგინი, მ. მაჭავარიანი და კ. ლეონტიევი). ჰიდროკვანძში შედის სათავის ბეტონის კაშხალი (სიმაღლე 34 მ),

წყალმიმღები, სადერივაციო არხი (სიგრძე 3 კმ), სადანწეო აუზი და ჰესის შენობა. კაშხალი ქმნის სადღეღამისო რეგულირების წყალსაცავს. 1995 წ. 28 დეკემბრიდან ჰიდროელექტროსადგურის ბაზაზე ჩამოყალიბდა შპს „ზაჰესი“, რ-იც 2008 გარდაიქმნა სააქციო საზ-ბად „ზ.“ ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია (მლნ. კვტ.სთ): 1928 წ. - 23,9; 1955 წ. - 187,0; 1960 წ. - 229,1; 1965 წ. - 213,2; 1970 წ. - 222,2; 1975 წ. - 178,9; 1980 წ. - 162,8; 1985 წ. - 131,0; 1990 წ. - 137,9; 1995 წ.-152,3; 2000 წ. - 135,4; 2005 წ. - 148,0; 2010 წ. -192,8; 2013 წ.-166,3.

**დ. ჩომახიძე**

---